



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2018 წლის 08 ოქტომბერი

ქ. თბილისი

დისციპლინური საქმე №166/17

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- --, -- -- --, -- -- 2017 წლის 20 სექტემბრის №-- საჩივრის საფუძველზე, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 21 ივნისის №166/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

მსჯავრდებულ -- -- მიმართ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, დისციპლინურ საჩივარში მითითებულია შემდეგ ფაქტებზე:

1.1. სასამართლო 4 წლის განმავლობაში უსაფუძვლოდ აჭიანურებდა არასაპატიმრო საქმის განხილვას. ამასთან, ბრალდების მხარემ არაერთხელ სთხოვა სასამართლოს, ემოქმედა საპროცესო კანონის შესაბამისად, დაცვის მხარის მიერ პროცესის შეგნებულად გაჭიანურების ფაქტებთან დაკავშირებით, თუმცა, მოსამართლემ აღნიშნული რეაგირების გარეშე დატოვა.

1.2. 2017 წლის 15 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე, საქმის განხილვის იმ ეტაპზე, როცა, ბრალდების მხარეს უკვე დასრულებული ჰქონდა დასკვნითი სიტყვა, მოსამართლემ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა, მტკიცებულებათა გამოკვლევის

განახლებისა და საქმეზე, -- -- მოწმის სახით დაკითხვის თაობაზე. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დასკვნითი სიტყვის წარმოდგენის შემდგომ, მტკიცებულების გამოკვლევის განახლების შესაძლებლობას. მომჩივანი ასევე აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში დაირღვა მხარეთა თანასწორობის პრინციპი იმ კუთხით, რომ ბრალდების მხარეს არ მიეცა შესაძლებლობა დასკვნით სიტყვაში შეეფასებინა დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება (-- -- ჩვენება).

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

-- საქალაქო სასამართლოს (მოსამართლე -- --) 2017 წლის 07 ნოემბრის განაჩენით:

- -- -- ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 369¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (-- -- ეპიზოდი), რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, 2 წლის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე, დანიშნული სასჯელი შეუმცირდა ¼-ით და საბოლოო სასჯელად განესაზღვრა: თავისუფლების აღკვეთა 3 წლის და 9 თვის ვადით; თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა - 1 წლისა და 6 თვის ვადით.

- -- -- ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 369¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (-- -- ეპიზოდი), რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, 2 წლის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე, დანიშნული სასჯელი შეუმცირდა ¼-ით და საბოლოო სასჯელად განესაზღვრა: თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 9 თვის ვადით; თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა - 1 წლისა და 6 თვის ვადით.

- -- -- ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (-- -- ეპიზოდი), რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, 2 წლის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე, დანიშნული სასჯელი შეუმცირდა ¼-ით და საბოლოო სასჯელად განესაზღვრა: თავისუფლების აღკვეთა 9 თვის ვადით; თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა - 1 წლისა და 6 თვის ვადით.

- -- -- ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის (-- -- ეპიზოდი), რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, 2 წლის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება. 2012 წლის 28 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“

თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით და მასვე, 2 წლისა და 3 თვის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება.

მსჯავრდებულ -- -- სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო განაჩენის მიღების დღიდან - 2017 წლის 7 ნოემბრიდან. მასვე, სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა 2014 წლის 23 თებერვლიდან - 2014 წლის 26 თებერვლის ჩათვლით, დაკავებაში ყოფნის დრო.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შეფასდეს კონკრეტული ფაქტები, შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

3.1. მომჩივანი არასაკატიმრო საქმეზე პრეტენზიას აფიქსირებს საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებასთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ ამ მიმართებით მოსამართლის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

ასევე, საჩივრის ავტორის განმარტებით, დაცვის მხარის მიერ პროცესის შეგნებულად გაჭიანურების ფაქტებთან დაკავშირებით, ბრალდების მხარემ არაერთხელ მიმართა სასამართლოს, ემოქმედა საპროცესო კანონის შესაბამისად, თუმცა, მოსამართლემ აღნიშნული რეაგირების გარეშე დატოვა.

საფუძვლიანი შეფასების მიზნებისათვის, იმისათვის, რომ დადგინდეს საქმე იყო თუ არა გაჭიანურებული უსაფუძვლოდ და აღნიშნულთან იკვეთება თუ არა მოსამართლის პერსონალური ბრალეულობა, მიზანშეწონილია ყურადღება გამახვილდეს შემდეგ სამართლებრივ საკითხებზე:

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში აღიარებულია, გონივრულ ვადაში საქმის სასამართლო განხილვის უფლება. დანაწესი მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ ბრალდებულ პირებს არ მოუწიოთ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბრალდებულის სტატუსში ყოფნა და ბრალეულობის საკითხზე გადაწყვეტილება დროულად იქნას მიღებული (*Wemhoff v Germany; Kart v. Turkey*).

კონვენციის განმარტების ფარგლებში დადგენილი პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა განისაზღვრება შემდეგ გარემოებათა გათვალისწინებით: 1) საქმის სირთულით, როგორც საქმის ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი კუთხით (*Katte Klitsche de la Grande v. Italy; Papachelas v. Greece*);

მტკიცებულებების გამოკვლევის მოცულობით (Human v. Poland) და ა.შ. 2) მხარეთა მოქმედებებით, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (König v. Germany), შუამდგომლობებით, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France), ასევე სხვა მოქმედებებით, რაც იწვევს საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებებით. აღნიშნულს ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა/ჩაუტარებლობის მიმართებით (Pafitis and others v. Greece; Tiece v. San Marino; Sürmeli v. Germany).

მაგალითისთვის, საქმეში, Ciricosta and viola v. Italy, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ 15 წლის მანძილზე საქმის განხილვა არ წარმოადგენდა გონივრული ვადის მოთხოვნის დარღვევას, ვინაიდან 17-ჯერ თვით განმცხადებლებმა მოითხოვეს საქმის განხილვის გადადება და არ გამოუხატავთ წინააღმდეგობა 6-ჯერ მოწინააღმდეგე მხარის მიერ საქმის განხილვის გადადების მოთხოვნასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბრალდებულს აქვს უფლება სწრაფ მართლმსაჯულებაზე ამ კოდექსით დადგენილ ვადებში. პირს უფლება აქვს, უარი განაცხადოს ამ უფლებაზე, თუ ეს აუცილებელია დაცვის სათანადოდ მომზადებისათვის. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია პრიორიტეტულად განიხილოს ის სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა.

საქართველოს სსსკ-ის 184-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოაქვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვისა. ამავე კოდექსის 333-ე მუხლის მე-9 ნაწილის მიხედვით, ამ კოდექსის 185-ე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილები ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს სსსკ-ის 333-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს ამ კოდექსის 185-ე მუხლის მე-6 ნაწილის ამოქმედების მომენტისათვის სასამართლოში განსახილველად არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენი გამოაქვს იმავე ნაწილის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 36 თვისა.

სადაო ფაქტის შეფასებისთვის მნიშვნელოვანი გარემოებები:

- -- საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 26 თებერვლის განჩინებით, -- -- მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იყო გირაო - 20 000 ლარის ოდენობით. შესაბამისად, საქმე მიეკუთვნებოდა არასაპატიმრო საქმეთა კატეგორიას. მოცემული ფაქტი საყურადღებოა იმ კუთხით, რომ მოსამართლის საქმეთა დატვირთვის პირობებში, როცა უპირატეს რეჟიმში

ხდება საპატიმრო კატეგორიის საქმეთა განხილვა, ობიექტურად შეუძლებელია საქმეზე მოცემული საპროცესო მოქმედებათა განხორციელება შედარებით მოკლე ვადებში.

- წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ, საქმის არსებითი განხილვისთვის გადაცემის შესახებ, გადაწყვეტილება მიღებულია 2014 წლის 08 ივლისს;

- საქმის არსებითი განხილვის მიზნით, საქმეზე დანიშნულია 54 სასამართლო სხდომა (22.07.14; 30.09.14; 28.11.14; 24.12.14; 20.01.15; 13.02.15; 17.02.15; 20.02.15; 27.02.15; 20.03.15; 17.04.15; 05.05.15; 26.06.15; 31.07.15; 28.09.15; 20.10.15; 05.11.15; 03.12.15; 07.12.15; 15.12.15; 24.12.15; 08.02.16; 12.02.16; 16.02.16; 18.02.16; 24.02.16; 18.04.16; 17.06.16; 11.07.16; 12.08.16; 17.10.16; 24.11.16; 30.12.16; 05.01.17; 18.01.17; 27.01.17; 07.02.17; 28.02.17; 06.03.17; 17.03.17; 28.03.17; 18.04.17; 19.05.17; 12.06.17; 07.07.17; 15.08.17; 15.09.17; 22.09.17; 25.09.17; 02.10.17; 04.10.17; 31.10.17; 03.11.17; 07.11.17);

- გადადებულ სასამართლო პროცესებს შორის პერიოდი გონივრულად ხანმოკლეა (ხშირ შემთხვევაში თვის განმავლობაში საქმეზე ინიშნებოდა საშუალოდ 3 სასამართლო სხდომა). ამასთან, პროცესის გადადებებისას, სასამართლოს უწევდა სხდომის თარიღების მხარეებთან შეთანხმება. შესაბამისად, საქმეზე, სასამართლო სხდომები მიმდინარეობდა მხარეთა და სასამართლოს საპროცესო თავისუფალი გრაფიკის დამთხვევით;

- საქმეზე, შემაჯამებელი გადაწყვეტილება, გამამტყუნებელი განაჩენის სახით, მიღებულია 2017 წლის 07 ნოემბერს;

- მოსამართლის საქმეთა დატვირთვა: 2014 წლის მე-2 ნახევარში მოსამართლეს წარმოებაში ჰქონდა 192 საქმე, საიდანაც დაასრულა 70 საქმე; 2015 წელს წარმოებაში ჰქონდა 398 საქმე, საიდანაც განიხილა 232 საქმე; 2016 წელს წარმოებაში ჰქონდა 378 საქმე, საიდანაც განიხილა 212 საქმე; 2017 წელს წარმოებაში ჰქონდა 213 საქმე, საიდანაც განიხილა 172 საქმე.

ამდენად, სისხლის სამართლის საქმეზე არსებითი განხილვის სასამართლო წარმოების ვადა შეადგენს - 3 წელსა და 4 თვეს. რაც შეეხება საქმის განხილვის 36 თვიან საპროცესო ვადას (ვადის დინება დაიწყო 2016 წლის 1 იანვრიდან; საქართველოს სსსკ-ის 333-ე მუხლის მე-8 ნაწილი;), იგი ამოიწურებოდა 2019 წლის 1 იანვარს, რაც მიუთითებს, რომ საქმეზე საპროცესო ვადა არ დარღვეულა.

პარალელურად, დისციპლინური სამართალწარმოების მიზნებისთვის, საქმის განხილვის ვადის გონივრულობის საკითხი, მნიშვნელოვანია ასევე შეფასდეს საქართველოს სსსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილთან მიმართებაშიც.

საქართველოს სსსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბრალდებულს უფლება აქვს უარი განაცხადოს კოდექსით დადგენილ ვადებში სწრაფ მართლმსაჯულებზე, თუ ეს აუცილებელია დაცვის სათანადოდ მომზადებისათვის.

აღსანიშნავია, რომ საქმეზე წარმოდგენილი მოცემულობა, დაცვის მხარის ამგვარ ინტერესზე მიუთითებს. კერძოდ, საქმის ყოველმხრივ და სრულად გამოკვლევის მიზნით, დაცვის მხარე სისტემატურად მიმართავდა შუამდგომლობებით სასამართლოს. აღნიშნული, შედეგად ახანგრძლივებდა საქმის განხილვის ვადას, თუმცა არა სასამართლოს ბრალეულობით.

შესაბამისად, საქმის განხილვის ვადის ხანგრძლივობა განპირობებულია დაცვის სათანადოდ მომზადების აუცილებლობით (საქართველოს სსსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი), რა დროსაც, კანონი ითვალისწინებს ბრალდებულს უფლებას, უარი განაცხადოს კოდექსით დადგენილ ვადებში სწრაფ მართლმსაჯულებაზე. შესაბამისად, სასამართლოს მხრიდან საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების ფაქტი არ დასტურდება.

დამატებით მიზანშეწონილია აღინიშნოს იმ გარემოებაზეც, რომ საქმეზე დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დაწესებული საქმის განხილვის გონივრული ვადის სტანდარტიც, საქმის სირთულის (მრავალტომიანობა, დასაკითხ მოწმეთა სიმრავლე); საქმეზე განხორციელებული საპროცესო მოქმედებების, სასამართლოსა და მხარეთა ინიციატივების გათვალისწინებით.

დისციპლინურ საქმეზე, პარალელურად ასევე უნდა შეფასდეს მომჩივნის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლო რეაგირებას არ ახდენდა დაცვის მხრიდან პროცესის შეგნებულად გაჭიანურების ფაქტებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩატარებული 54 პროცესის ფარგლებში:

დაცვის მხარის ინიციატივით სხდომები გადაიდო: 1. ბრალდებულის გამოუცხადებლობით მხოლოდ 2-ჯერ (-- -- -- (--)) მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში მონაწილეობის გამო, 13.02.15 სხდომა; დადასტურებულია შესაბამისი მტკიცებულებით); -- -- -- -- --, -- -- -- -- --. 17.10.16 სხდომა; სხდომის გადადებას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში დაეთანხმა ბრალდების მხარეც). 2. ბრალდებულის ჯანმრთელობის გამო, რაც დასტურდებოდა სამედიცინო ფორმა №100-ით (პერიოდი - 18.04.16 - 11.07.16; -- --, -- -- -- -- -- -- -- -- -- --; ჩატარდა სამედიცინო ოპერაცია); 3. შუამდგომლობის საფუძველზე სხდომების გარკვეული პერიოდით გადადებები: მოწმის საზღვარგარეთ ყოფნის გამო, სხდომის 2 თვეზე მეტი ვადით გადადება; -- -- -- --, სხდომის 2 თვემდე გადადება;

ობიექტურობისთვის ასევე მნიშვნელოვანია პარალელურად აღინიშნოს, ბრალდების ინიციატივით სხდომის გადადების შემდეგ შემთხვევებზე: 22.07.14 სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა ბრალდების მხარე; 12.06.17 სხდომაზე ბრალდების მხარემ შუამდგომლობით მოითხოვა პროცესის 1 თვემდე ვადით გადადება, დასკვნითი სიტყვის მოსამზადებლად. აღნიშნულს დაეთანხმა სასამართლო. მომდევნო სხდომაზე პროკურორი -- --, შეიცვალა სხვა პროკურორით, რომელმაც ასევე ანალოგიური დრო ითხოვა საქმის მასალების გასაცნობად და დასკვნითი სიტყვის მოსამზადებლად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 15.08.17 სასამართლო

სხდომაზე, ისევ პროკურორი -- -- წარმოადგენს ბრალდების მხარეს და ბრალდების დასკვნითი სიტყვის ეტაპი წარიმართა მხოლოდ მისი მონაწილეობით.

არსებული მოცემულობა ცხადყოფს, რომ სასამართლო სხდომების გადადება მხარეთა გამოუცხადებლობის ნიშნით, პრაქტიკულად თანაბარია როგორც, ბრალდების ასევე, დაცვის მხარის შემთხვევაში. ასევე, საქმის გამოკვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მტკიცებულებათა გამოკვლევის ინტენსივობა იდენტურია ორივე მხარესთან (როგორც წესი იკითხებოდა სხდომაზე 1-2 მოწმე); ამასთან, რიგ შემთხვევებში შუამდგომლობებთან დაკავშირებით პოზიციის ჩამოყალიბებისთვის სასამართლო სხდომები იდებოდა როგორც, ბრალდების ისე, დაცვის მხარის ინიციატივით (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ შემთხვევებს არ ჰქონია ხშირი ხასიათი).

შესაბამისად, გარეშე დამკვირვებლისთვის არ იკვეთება ის საფუძვლები, რაც დაცვის მხარის მხრიდან პროცესის შეგნებულად გაჭიანურების ქმედებებზე შესაძლოა მიუთითებდეს. სასამართლოს თანაბარი დამოკიდებულება ჰქონდა ორივე მხარის მიმართ და საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე, უზრუნველყოფილია თანასწორობის პრინციპზე, საქმის განხილვის პროცესი. ამდენად, მოსამართლის მხრიდან მოვალეობის შეუსრულებლობის/არაჯეროვნად შესრულების შემთხვევა, არსებულ მოცემულობაში არ დასტურდება.

დამატებით ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დაცვის მხარე სისტემატურად მიმართავდა სასამართლოს შუამდგომლობებით, თუმცა მათი საფუძვლიანობა და სასამართლოს დასკვნების კანონიერების საკითხები, დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში ვერ იქნება განხილული („საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი).

შესაბამისად, არ დგინდება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული შესაძლო გადაცდომების ნიშნები.

3.2. 2017 წლის 15 სექტემბერს, მას შემდეგ რაც, საქმეზე ბრალდების მხარემ წარმოთქვა დასკვნითი სიტყვა, დაცვის მხარემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს მტკიცებულებათა გამოკვლევის განახლებისა და -- -- მოწმის სახით დაკითხვის თაობაზე. შუამდგომლობაში მითითებული იყო, რომ საქმის ერთერთ მთავარ მოწმეს კომუნიკაცია ჰქონდა -- --, რა დროსაც მან განაცხადა, -- -- მიმართ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, პროკურატურის თანამშრომელთა მხრიდან მის ზეწოლაზე. აღნიშნულ საუბარს, მხარის განმარტებით, ადგილი ჰქონდა მას შემდეგ (2017 წლის 20 ივლისი) რაც კონკრეტულ საქმეზე დასრულდა მტკიცებულებათა გამოკვლევა. მხარე, სამართლიანი სასამართლოს უფლებიდან (კონვენციის მე-6 მუხლი) გამომდინარე, ითხოვდა საქმეზე მტკიცებულებათა განახლებას და მოწმის დაკითხვას. იგი ასევე მიუთითებდა სააპელაციო

სასამართლოს წარმოებაში არსებულ სხვა საქმის ანალოგიურ პრაქტიკაზე და მეტი სიცხადისთვის, მაგალითად მოჰყავდა ის შემთხვევა, როცა მკვლელობის ბრალდების საქმეზე, გარდაცვლილი პიროვნება აღმოჩნდება ცოცხალი. დაცვის მხარე მიიჩნევდა რომ ამგვარ შემთხვევაში, მიუხედავად საქმის განხილვის ეტაპისა, სასამართლო, სამართლიანი სასამართლოს უფლებიდან გამომდინარე, ვალდებული იყო დაეკითხა კონკრეტული პირი და მიეღო მხედველობაში ახალი არსებითი გარემოება.

წარმოდგენილ შუამდგომლობას არ დაეთანხმა ბრალდების მხარე. კერძოდ, ბრალდებამ სადავო გახადა მტკიცებულებათა დასაშვებობა, საკითხის არარელევანტურობა და მიუთითა ასევე იმ გარემოებაზე, რომ საქმის განხილვის დასკვნითი სიტყვის ეტაპზე, საპროცესო კანონი არ ითვალისწინებდა მტკიცებულებათა გამოკვლევის განახლების შესაძლებლობას.

სასამართლოს საოქმო განჩინებით (15.09.17) დაკმაყოფილდა დაცვის მხარის შუამდგომლობა, მტკიცებულებათა გამოკვლევის განახლებისა და -- -- მოწმის სახით დაკითხვის თაობაზე. სასამართლო მიიჩნევდა, რომ მართალია დაცვის მხარის მიერ გარკვეული პროცესუალური მოთხოვნები იყო დარღვეული, ვინაიდან, მტკიცებულების გამოკვლევის ეტაპი იყო დასრულებული და სასამართლო იმყოფებოდა დაცვის მხარის დასკვნითი სიტყვის ეტაპზე, თუმცა, ამის მიუხედავად, სამართლიანი სასამართლოს უფლება იყო მეტად წონადი, ვიდრე პროცესუალური დარღვევები. სასამართლო აღნიშნავდა, რომ საკითხი ეხებოდა ერთერთი ძირითადი მოწმის ჩვენების სანდოობას, რაც სასამართლოს გადაწყვეტილის მიღებისას აუცილებლად უნდა შეეფასებინა. შესაბამისად, წარმოდგენილ შუამდგომლობას ჰქონდა პირდაპირი შემხებლობა საქმის მოწმის სანდოობასთან, რის გამოც, სრულად დაკმაყოფილდა შუამდგომლობის მოთხოვნა.

2017 წლის 22 სექტემბრის სხდომაზე დაიკითხა მოწმე -- -- და როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მისი ჩვენება სხვა მტკიცებულებებთან მიმართებით, შეფასდა ბრალდების მხარის მიერ რეპლიკის ეტაპზე.

კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებით მომჩივანი აღნიშნავს, რომ სასამართლოს არ ჰქონდა უფლება განეხილებინა მტკიცებულებათა გამოკვლევა დასკვნითი სიტყვის ეტაპზე და ასევე მიიჩნევს, რომ დაირღვა შეჯიბრებითობის პრინციპი, ვინაიდან ბრალდების მხარეს არ მიეცა შესაძლებლობა დასკვნით სიტყვაში შეეფასებინა დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება (-- -- ჩვენება).

საკითხზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება (კონვენციის მე-6 მუხლი) წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს დანაწესს, რომელიც აწესრიგებს ინდივიდსა და სახელმწიფოს, ასევე, კერძო პირებს შორის არსებულ სადავო ურთიერთობებს, უზრუნველყოფს კონსტიტუციური უფლებების ეფექტურ რეალიზაციას და უფლებებში გაუმართლებელი ჩარევისაგან დაცვას. უფლებებისა და თავისუფლებების

არსებობისა და ეფექტური რეალიზებისთვის კი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათი სამართლებრივი დაცვის საშუალებების არსებობას.

აღსანიშნავია, რომ ევროპული კონვენცია არ ადგენს მტკიცებულებათა დასაშვებობის რაიმე წესს, ვინაიდან აღნიშნული, უწინარეს ყოვლისა, ეროვნული კანონმდებლობის რეგულირების საგანია, თუმცა, კონვენცია აღიარებს სამართლიანი სასამართლოს უფლების უზენაესობას. ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში აფასებს შედეგს, სასამართლო განხილვა მთლიანობაში იყო თუ არა სამართლიანი, იმ პირობებში, რომ არ ახდენს გადამოწმებას, მტკიცებულება სათანადოდ იქნა დაშვებული თუ არა.

საქართველოს სსსკ-ის 242-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მტკიცებულებათა გამოკვლევა იწყება მხარეების მიერ შესავალი სიტყვების წარდგენის შემდეგ. ამავე კოდექსის 249-ე მუხლის შესაბამისად, იგი სრულდება დასკვნითი სიტყვის დაწყების ეტაპზე.

განსახილველ შემთხვევაში, დაცვის მხარემ ითხოვა არსებითად ახალი მტკიცებულების გამოკვლევა დასკვნითი სიტყვის ეტაპზე, რის შესაძლებლობასაც მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

სწორი სამართლებრივი მსჯელობისთვის, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ თავად სასამართლოსთვისაც ცნობილია ზემოაღნიშნული საპროცესო დანაწესის თაობაზე. კერძოდ, საოქმო განჩინებაში სასამართლო ადასტურებს, რომ დასკვნითი სიტყვის ეტაპზე მტკიცებულებათა გამოკვლევის განახლებით, ირღვევა საპროცესო მოთხოვნები.

შესაბამისად, დავას იწვევს არა ის გარემოება, რომ დასკვნითი სიტყვის ეტაპზე მტკიცებულების გამოკვლევა ეწინააღმდეგება საქართველოს სსსკ-ის 242-ე და 249-ე მუხლების მოთხოვნებს, არამედ უნდა შეფასდეს უფლებათა კონკურენციის საკითხი.

აღსანიშნავია, რომ კანონში პირდაპირ არაა გაწერილი სადავო უფლებათა ერთმანეთთან მიმართებით პრიორიტეტულობა. დადგენილია ზოგადად, რომ სამართლიანი განაჩენის უფლება (საქართველოს სსსკ-ის 259-ე მუხლი), რაც თავის მხრივ გამორიცხავს უდანაშაულო პირის მსჯავრდებას, უმნიშვნელოვანესი დანაწესია, თუმცა საკითხი სხვა უფლებებთან კონკურენციის პირობებში, კანონმდებლის მიერ განხილული არაა. შესაბამისად, მსჯელობისას აუცილებელია ნორმათა განმარტების საფუძველზე, შეფასდეს და დადგინდეს, თუ რამდენად გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს საპროცესო ნორმის დარღვევა, სხვა უფრო მნიშვნელოვანი უფლების დაცვის მიზნებისათვის.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძველად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

კონკრეტულ შემთხვევაში როგორც აღნიშნა, სასამართლოს დასკვნა გამომდინარეობს სწორედ კანონის შინაგანი რწმენით განმარტებიდან, ვინაიდან საკითხის რეგულაციაზე კანონმდებელი პირდაპირ არ მიუთითებს. შესაბამისად, სასამართლო დასკვნის კანონიერებაზე მსჯელობა მხოლოდ ზემდგომი სასამართლოს კომპეტენციაა და შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში დაუშვებელია შემოწმდეს („საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-3 პუნქტი).

რაც შეეხება შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევას, რაზედაც მომჩივანი ზემოაღნიშნულ პრეტენზიაში აპელირებს, წარმოდგენილი საქმის მასალების საფუძველზე არ დასტურდება. კერძოდ, როგორც ირკვევა, მოწმე -- -- ჩვენება, მართალია ობიექტური გარემოების გამო, ბრალდების მხარის მიერ დასკვნითი სიტყვის ეტაპზე ვერ შეფასდა, თუმცა, სხვა მტკიცებულებებთან მიმართებით, ბრალდების მხარემ მასზე ისაუბრა რეპლიკის ეტაპზე. შესაბამისად, საქმეზე დაცულია მხარის ზოგადი უფლება - წარმოედგინა მოსაზრებები მტკიცებულებასთან მიმართებაში.

აქვე უნდა შეფასდეს ის საკითხიც, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო სასამართლო დაბრუნებოდა დასკვნითი სიტყვის ეტაპს და ბრალდების მხარის ანალოგიური შესაძლებლობა, უზრუნველყოფილი ყოფილიყო დასკვნითი სიტყვის დროს. უნდა აღინიშნოს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების მიზნებისთვის, საკითხი ერთმნიშვნელოვნად ფორმალური მნიშვნელობისაა, რაც შედეგობრივად არ ცვლის მოცემულობას. კონკრეტულ შემთხვევაში არსებითია, რომ ბრალდების მხარეს მიეცა შესაძლებლობა წარმოედგინა საქმეში მტკიცებულებასთან მიმართებით მოსაზრებები და ამ მხრივ, მისი საპროცესო უფლებები არ დარღვეულა.

შესაბამისად, არ დასტურდება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ

მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 08 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №166/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი